შეტყობინება მეთერთმეტე

სიღრმისეული მნიშვნელობა ეზრას მსახურებისა და ნეემიას ხელმძღვანელობისა – ეკლესიის, როგორც ღმერთის სახლისა და ღმერთის სამეფოს, აშენება, იმის მეშვეობით, რომ გამოვავლინოთ ჩვენი სიცოცხლით და წარმოვქმნათ ჩვენი სამუშაოთი ახალი იერუსალიმი

ადგილები წერილიდან: გამოცხ. 21:2, 9-11, 18; 22:1

I. **ეზრას მსახურების სიღრმისეული მნიშვნელობა გამოხატულია სიტყვებში „განწმენდა“, „განსწავლა“ და „შემადგენლობის შეცვლა“; ნეემიას ხელმძღვანელობის სიღრმისეული მნიშვნელობა გამოხატულია სიტყვებში „გამოყოფა“, „დაცვა“ და „გამოხატულება“; ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ უფალთან მის ზეციურ მსახურებაში, რათა ავაშენოთ ეკლესია, როგორც ღმერთის სახლი და ღმერთის სამეფო, იმის მეშვეობით, რომ გამოვავლინოთ ჩვენი სიცოცხლით და წარმოვქმნათ ჩვენი სამუშაოთი ახალი იერუსალიმი, ამ სიღრმისეული მნიშვნელობის თანახმად – 3 მეფ. 8:48; ფსალ. 48:1-2; 1 ტიმ. 3:15; ეფეს. 2:21-22.**

II. **ვიცხოვროთ ღმერთი და ვემსახუროთ ღმერთს საუკუნის ხედვის თანახმად საუკუნის მსახურებაში – ნიშნავს, რომ გამოვავლინოთ ჩვენი სიცოცხლით და წარმოვქმნათ ჩვენი სამუშაოთი ახალი იერუსალიმი: „მისი კედელი იასპით იყო ნაგები; ხოლო ქალაქი – სუფთა ოქროსი, სუფთა მინის მსგავსი“ – გამოცხ. 21:18; საქმე. 26:19; 22;15; გამოცხ. 21:2, 9-11:**

ა. ის, რომ ქალაქი არის სუფთა ოქრო, სუფთა მინის მსგავსი, აღნიშნავს ჩვენს საჭიროებას *<u>განწმენდაში</u>*, ღმერთისა და მისი წმიდა ბუნების მეშვეობით და გაცისკროვნებაში, *<u>განათლების</u>* მეშვეობით, ჩვენი გონების მიმართ ბიბლიის სწავლებების გამოყენების გზით, ჩვენი გონების განახლებისა და გაცისკროვნებისათვის, რაც გაგვხდის ჩვენ სუფთებს, ღმერთის აზრების, მსჯელობისა და გზების წყალობით – შდრ. მათე 5:8; ეფეს. 4:23; იოანე 17:17.

ბ. „სამშენებლო სამუშაო“ არის ღმერთის უნიკალური სამუშაო, რომელიც განკუთვნილია სამერთიანი ღმერთის მიერ ჩვენი *<u>შემადგენლობის შეცვლისათვის,</u>* რათა ჩვენ ხელახლა ავშენდეთ ღმერთისაგან და დავარიგოთ ღმერთი სხვებში, რაც შესაძლებლობას მისცემს ღმერთს, რომ ჩააშენოს თავისი თავი მათ არსებაში და გახადოს ისინი არსებები ახალ იერუსალიმში – 1 კორ. 3:9, 12; ეფეს. 3:16-19; გამოცხ. 3:12; ქებ. ქ. 6:4; ებრ. 11:10.

გ. ქალაქი მისი კედლით აღნიშნავს ახალ იერუსალიმს, როგორც ღმერთის მარადიულ სამეფოს ღმერთის თავობის ქვეშ, ღმერთის ხალხის *<u>გამოსაყოფად</u>* და ღმერთის ინტერესების *<u>დასაცავად</u>* – ნეემ. 4:17; ეფეს. 5:26.

დ. ის, რომ ქალაქის კედელი არის იასპი (ღმერთის სიცოცხლე მის სიმდიდრეში), ხოლო ქალაქი არის ოქრო (ღმერთის ღვთაებრივი ბუნება), გვიჩვენებს, რომ ღმერთის მარადიული სახლმშენებლობა არის ის, რომ გაგვხადოს ჩვენ ისეთივეები, როგორიც არის ის, სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში, მისი უნიკალური გამოხატულებისათვის – დაბ. 1:26; იოანე 10:10ბ; 2 პეტ. 1:4; გამოცხ. 4:3; 21:10-11, 18.

III. **გამოვავლინოთ ჩვენი სიცოცხლით და წარმოვქმნათ ჩვენი სამუშაოთი ახალი იერუსალიმი, ნიშნავს, რომ ვიცხოვროთ და ვიმსახუროთ ეზრას მსახურებისა და ნეემიას ხელმძღვანელობის სიღმისეულ მნიშვნელობაში:**

ა. ჩვენ უნდა დავრჩეთ ყოველგვარი მინარევისაგან განწმენდის პროცესში, და უნდა მივიღოთ უფალი და მისი მარადიული სახლმშენებლობის ინტერესები, როგორც ჩვენი ერთადერთი მიზანი – ეზრ. 9:2; მათე 5:8; 1 ტიმ. 3:9; 2 კორ. 6:4ა, 6; ლუკა 9:54-55; ებრ. 4:12; 3 მეფ. 8:48:

1. ჩვენ შეიძლება განვიწმინდოთ მინარევებისაგან ღმერთის მიერ გაცისკროვნების, მხილებისა და სასამართლოს შედეგად, ჯვრის მიერ განადგურებისა და გაუქმების წყალობით, სისხლით განწმენდისა და განბანის წყალობით და სულის დინებისა და სულით გაჟღენთის წყალობით – ფსალ. 139:23-24; 51:7, 10; გამოცხ. 22:1.
2. ჩვენ შეიძლება განვიწმინდოთ მინარევებისაგან სიცოცხლის წყლით განბანის პროცესის წყალობით, ღმერთის სუფთა სიტყვაში; რაც უფრო მეტად არის ადამიანი ღმერთის სიტყვაში, მით უფრო სუფთა ხდება ის – ფსალ. 12:6; 119:9, 140; ეფეს. 5:26; ესაია 55:8-11.
3. ლევ. 19:19-ში ნაჩვენებია, რომ ღმერთს სურს, რომ ყველაფერი იყოს თავ-თავისი გვარის თანახმად, ყოველგვარი შერევის გარეშე – გამოცხ. 17:3-6; რჯლ. 22:5, 9-11; შდრ. დაბ. 1:11, 21, 24-26; 2:7-9:
   ა) ის, რომ პირუტყვი უნდა მოეშენებინათ შერევის გარეშე, ნიშნავს, რომ სიცოცხლეში არ უნდა იყოს მინარევი: მათ, ვინც ცხოვრობენ ღმერთის სიცოცხლით, არ უნდა იცხოვრონ ხორცით – შდრ. გალ. 5:16.
   ბ) ის, რომ თესლი უნდა დაეთესათ შერევის გარეშე, ნიშნავს, რომ სიტყვის მსახურებაში უნდა დაითესოს მხოლოდ ერთი ჯიშის თესლი, ერთი სახის სწავლება – უნიკალური სწავლება ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის შესახებ – რჯლ. 22:9; 1 ტიმ. 1:3-4; 6:3.
   გ) ის, რომ სამოსი უნდა დაემზადებინათ მასალების შერევის გარეშე, ნიშნავს, რომ ჩვენს საქციელში არ უნდა იყოს მინარევები: მათ, ვინც ცხოვრობენ ახალი აღთქმის სიცოცხლეში, არ უნდა იცხოვრონ ძველი აღთქმის დადგენილებების თანახმად (გალ. 2:19-20; 5:1-6) და მათ, ვინც ეკუთვნიან უფალს, არ უნდა იცხოვრონ წარმართთა ჩვეულებების თანახმად (ლევ. 20:23; 18:3; შდრ. ეფეს. 4:17; რომ. 12:2ა).

4. 1 პეტ. 1:22-ში ნათქვამია: „ვინაიდან ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით განიწმინდეთ თქვენი სამშვინველები უთვალთმაქცო ძმათმოყვარეობისათვის, მთელი გულით მტკიცედ შეიყვარეთ ერთმანეთი“:
   ა) ეს ნიშნავს, რომ იმისათვის, რომ ჩვენი სამშვინველი (ჩვენი გონება, გრძნობები და ნება) განიწმინდოს, საჭიროა, რომ ის გათავისუფლდეს ყველაფერი იმისაგან, რაც არ არის ღმერთი, და კონცენტრირდეს ღმერთზე, როგორც ერთადერთ საგანსა და ერთადერთ მიზანზე (1 კორ. 2:9-10; 2 თეს. 3:5); როდესაც ჩვენ ვემორჩილებით ჭეშმარიტებას, ქრისტეში ჩვენი რწმენის შინაარსსა და სინამდვილეს (2 ტიმ. 4:7; ტიტ. 1:1), მთელი ჩვენი სამშვინველი კონცენტრირებულია ღმერთზე და ამით იწმინდება ყველაფრისაგან, რაც არ არის ღმერთი.
   ბ) ვინაიდან ჩვენი სამშვინველების განწმენდა აიძულებს მთელ ჩვენს არსებას, რომ კონცენტრირდეს ღმერთზე, რათა ჩვენ მთელი ჩვენი გულით, მთელი ჩვენი სამშვინველითა და მთელი ჩვენი გონებით გვიყვარდეს ღმერთი (მარკ. 12:30), ასეთი განწმენდის შედეგი არის უთვალთმაქცო ძმათმოყვარეობა და ის აღგვძრავს ჩვენ, რომ მთელი გულით მტკიცედ გვიყვარდეს ისინი, ვინც უყვარს ღმერთს (იოანე 13:5,

14-17, 34-35; 2 პეტ. 1:5, 7; რომ. 12:9-11; 2 ტიმ. 1:6-7; 1 თეს. 3:12; 4:9-10; ებრ. 13:1; 1 იოანე 2:5-8; 3:11, 23; 4:7-8, 16-21).

ბ. ჩვენ უნდა ვიყოთ განათლებულები, რათა განვანათლოთ სხვები ჭეშმარიტებით, ღმერთის მოწმობისათვის, ღმერთის ერთობლივი გამოხატულებისათვის – 2 ტიმ. 2:2; 1 ტიმ. 3:15-16; 6:3; 1 კორ. 14:31:

1. წმიდა ქალაქის, ახალი იერუსალიმის, თორმეტ საძირკველზე დაწერილია კრავის თორმეტი მოციქულის სახელები, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ახალი იერუსალიმი შენდება მოციქულთა სწავლების თანახმად, ღმერთის სახლმშენებლობის შესახებ ჯანსაღი სწავლების თანახმად – გამოცხ. 21:14; საქმე. 2:42; 2 ტიმ. 1:15; ტიტ. 1:9; 2 ტიმ. 2:2.
2. ეზრა იყო მცოდნე ღმერთის კანონისა, რომელიც დაკავშირებულია ღმერთის სახლმშენებლობასთან; კანონი არის ქრისტეს, როგორც ღმერთის სიტყვის, ღმერთის მოწმობის, ღმერთის გამოსახულების, ღმერთის გამოხატულების, წინასახე – გამ. 16:34; 34:28; შდრ. 1:2.
3. იმის წყალობით, რომ ჩვენ მივდივართ ქრისტესთან, როგორც ცოცხალ სიტყვასთან, დაწერილ სიტყვაში, მას შეუძლია გახდეს გამოყენებული სიტყვა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ავივსოთ მისით, რათა გავხდეთ იესოს მოწმობა – იოანე 1:1; გამოცხ. 19:13; იოანე 5:39-40; 6;63; გამოცხ. 1:2, 10-11.
4. როდესაც ვრჩებით უნიკალურ მსახურებაში – ღმერთის სახლმშენებლობის შესახებ სწავლებაში, ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ სიტყვის სიღრმისეულ მნიშვნელობას, რათა ავივსოთ სიცოცხლის სინათლით – ნეემ. 8:8, 13; მათე 4:12-16; იოანე 1:4-5.
5. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ გამოვიყენოთ ახალი ენა, და უნდა ვილაპარაკოთ „იუდეველურად“, ახალ კულტურაში, ახალი კაცის ღმერთკაცისეულ კულტურაში – ნეემ. 13:23-24.

გ. ჩვენ შემადგენლობა უნდა შევიცვალოთ მადლით, რომელიც არის გამზადებული სამერთიანი ღმერთი, რომელიც ხდება სიცოცხლე და ყველაფერი ჩვენთვის – 1 პეტ. 5:10; 2 კორ. 13:14; ებრ. 10:29:

1. თორმეტი მოციქული წარმოადგენს ახალი აღთქმის მადლს; ეს ნიშნავს, რომ მადლი არის სათავე, ელემენტი და საშუალება ახალი იერუსალიმის წარმოსაქმნელად – გამოცხ. 21:14.
2. ჩვენ უნდა გავხდეთ შედგენილები მადლით მადლზე, უნდა ვიშრომოთ მადლით, დავარიგოთ მადლი და მივუტანოთ ადამიანებს მადლის სიტყვა – იოანე 1:16; 1 კორ. 15:10; 1 პეტ. 4:10; საქმე. 20:32.
3. ახალი იერუსალიმი შენდება იმის მეშვეობით, რომ ღმერთი ნერგავს თავის თავს ადამიანის შემადენლობაში, რათა გახადოს ადამიანი ისეთივე, როგორიც არის თვითონ ღმერთი, სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში, რათა ღმერთი და ადამიანი გახდნენ ერთი ერთობლივი მთლიანობა და იყვნენ ერთობლივი საცხოვრებელი – გამოცხ. 21:2-3, 10-11, 18-22.
4. ჩვენ უნდა შევასრულოთ მხოლოდ ერთი სამუშაო – ახალი იერუსალიმის სამუშაო; ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი ჩვენში მოქმედ ღმერთთან, როდესაც ის თანმიმდევრულად ატარებს მის მიერ ამორჩეულებს მისი ორგანული გადარჩენის ეტაპებს – ხელახლა შობას, გაწმიდანებას, განახლებას, გარდასახვასა და დამსგავსებას განდიდებისათვის.

5. ასე გადავალთ ჩვენ ერთი დონიდან მეორეზე, ვიდრე არ მივაღწევთ უმაღლეს წერტილს, სადაც გავხდებით ერთნაირები; იქ უკვე აღარ არის ხორცი და უკვე აღარ არის ბუნებრივი არსება; ყველანი არიან სულში, და ყველანი არიან ახალი იერუსალიმის არსებები; ეს არის ღმერთის სამუშაოს უმაღლესი წერტილი, ხოლო ჩვენ ვართ ღმერთის თანამშრომლები – იოანე 5:17; ფილიპ. 2:13; გამოცხ. 4:3; 21:11; 1 კორ. 3:9, 12; 2 კორ. 6:1; 1 თეს. 3:2.
6. „გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთი, თავისი სურვილის სიამოვნების თანახმად და თავისი უმაღლესი განზრახვისათვის თავის სახლმშენებლობაში აშენებს თავის თავის მის მიერ ამორჩეულ ადამიანებში და მის მიერ ამორჩეულ ადამიანებს – თავის თავში, რათა მიიღოს შემადგენლობა ქრისტეში, როგორც ღვთაებრიობისა და ადამიანობის შერწყმა, თავისი ორგანიზმის სახით, და ქრისტეს სხეული, როგორც მისი მარადიული გამოხატულება და ურთიერთსავანე, გამომსყიდველი ღმერთისათვის და გამოსყიდული ადამიანისათვის. ამ საოცარი ძვირფასი სტრუქტურის საბოლოო დასრულება მარადიულად იქნება ახალი იერუსალიმი“ – ვიტნეს ლი.

დ. ჩვენ მთლიანად უნდა ვიყოთ გამოყოფილი ღმერთისათვის, რათა მთლიანად გავიჟღინთოთ ღმერთით, და ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით ეკლესიური ცხოვრებისათვის, რაც გაგვხდის ჩვენ წმიდა ქალაქად – გამოცხ. 21:2; 2 პეტ. 1:4:

1. გონების განახლება და გარდასახვა, რომელიც ამას მოჰყვება, გამოგვყოფს და გადაგვარჩენს ჩვენ ჩვენი ბუნებისაგან, და ცხოვრებისაგან, რომელიც გაჟღენთილია ქვეყნიერების ელემენტით – გამოცხ. 21:12ა; რომ. 8:5-6; 12:2, 5-11; ეფეს. 4:23.
2. იმის მეშვეობით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენს სულში და ვჭამთ ქრისტეს, როგორც დაფარულ მანანას, ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ ქვეყნიერებაზე, რათა გავხდეთ ღმერთის ნაგებობა – 1 იოანე 5:4, 18-19, 21; გამოცხ. 2:12-17; შდრ. იოანე 14:30.
3. ჩვენ მთლიანად უნდა გამოვეყოთ ბაბილონის კერპთაყვანისმცემლურ სამყაროს, რომელიც ხასიათდება საქმიანობის მანკიერებით, ანუ კომერციით, რომელიც მოიცავს სხვის ქონების ქონის სურვილს, ტყუილსა და ფულის სიყვარულს; ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება თავისუფალი უნდა იყოს ფულის სიყვარულისაგან, და ჩვენი ქრისტიანული სამუშაო არ უნდა იყოს ფულის გამომუშავების ხელობა – ზაქ. 5:5-11; 1 ტიმ. 3:3, 8; 6:5-10; საქმე. 11:29-30; 20:33-34; 2 ტიმ. 3:2-4; ებრ. 13:5; 2 კორ. 2:17; 12:15; შდრ. 4 მეფ. 5:15-27:
   ა) სატანა არის საქმოსანი, ვაჭარი, და ის მსჯელობს თავისი კომერციული პრინციპის თანახმად, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთის ჩანაფიქრს ადამიანის შექმნისას – ეზეკ. 28:16, 18; იობ. 1:9; შდრ. ფილიპ. 3:7-8; დაბ. 1:26.
   ბ) იმ საქონლიდან, რასაც ყიდის ბაბილონი, პირველ ადგილზე არის ოქრო, ხოლო ბოლო ადგილზე არის ადამიანთა სამშვინველები; გამოთქმა „ადამიანთა სამშვინველები“ აღნიშნავს ადამიანებს, რომლებიც ჰყიდიან თავიანთ თავებს, როგორც სამუშაო ძალას – გამოცხ. 18:12-13; შდრ. 2 პეტ. 2:3, 15.
   გ) ეს აღწერა შეესაბამება არ მხოლოდ მომავალ ბაბილონს, არამედ დღევანდელ ქვეყნიერებასაც; ადამიანები ჰყიდიან თავიანთ სამშვინველებს, თავიანთ სიცოცხლეს, ანუ თავიანთ თავს თავიანთ

სამუშაოზე, და ყურადღების გარეშე ტოვებენ ღმერთსა და თავიანთ მარადიულ ბედს – შდრ. ლუკა 12:13-21.

დ) ღმერთის უზენაესობის თანახმად, მანკიერება საქმიანობაში, რაც ისრაელის ხალხმა ისწავლა ბაბილონელებისგან ტყვედ ყოფნის პერიოდში, დაუბრუნდება ისევ ბაბილონს (შინყარის მიწას) – ზაქ. 5:10-11; დაბ. 11:2, 9

ე. ჩვენ უნდა ვაშენოთ კედელი, რათა დავიცვათ ეკლესია, როგორც ღმერთის სახლი:

1. ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ კედელი კრავის გამარჯვებული სისხლის მეშვეობით, რომლიც გამოიყენება ჩვენ მიმართ იმის მეშვეობით, რომ ჩვენ ვინანიებთ, ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს და ვთხოვთ ღმერთს, რომ განგვწმინდოს – გამოცხ. 12:11; ფსალ. 51:18.
2. ჩვენ უნდა დავმწყემსოთ ღმერთის სამწყსო, უნდა დავაყვიროთ უნიკალური ახალადთქმისეული მსახურების „საყვირი“, და უნდა ვაუწყოთ მათ ღმერთის მთელი გადაწყვეტილება, რათა დავასრულოთ ღმერთის სიტყვა, და ასევე უფლის დამცველი გაფრთხილება და ჯანსაღი სწავლება, რომ ისინი გახდნენ ზრდასრულები ქრისტეში – 1 კორ. 14:8; ეფეს. 4:11; საქმე. 20:26:35; ეზეკ. 33:1-11; 34:25; კოლ. 1:24-29.
3. ჩვენ უნდა ვაშენოთ კედელი, რათა დავიცვათ ეკლესია, იმის მეშვეობით, რომ ვიბრძოლოთ სხეულში – რომ. 16:20:
   ა) სხეული აღიჭურვება ღმერთის სრული საჭურვლით და იცავს თითოეულ ასოს; ჩვენ უნდა ვეძებოთ სხეულის რჩევა და დაფარვა, რათა მივიღოთ სხეულის დაცვა – ეფეს. 6:10-20; მათე 16:18; საქმე. 21:4, 11-12.
   ბ) სულიერი ომი მიმდინარეობს ასეთი პრინციპით – ერთი განდევნის ათასს, ხოლო ორნი გააქცევენ ათი ათასს – რჯლ. 32:30; ეკლ. 4:9-12; გამ. 17:11-13.
4. ჩვენ უნდა ავაშენოთ კედელი, რათა დავიცვათ ღმერთის ღვთაებრივი სიმდიდრეების ინტერესები დედამიწაზე და ღმერთის დასრულებულობის მიღწევები – შდრ. იოანე 1:12-13; ესაია 9:6; 1 კორ. 15:45ბ; 2 კორ. 3:17; 4:5; კოლ. 1:18; საქმე. 2:36; 5:31; ებრ. 4:14; 9:15; 7:22; 8:2; 1 იოანე 2:1; იოანე 15:26; რომ. 8:34, 26.

ვ. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ქრისტეთი და უნდა გამოვავლინოთ ქრისტე ჩვენი ცხოვრებით, და ამის მეშვეობით აღვამაღლოთ ქრისტე, რათა შევძლოთ, რომ ავაშენოთ ეკლესია, როგორც ღმერთის გამოხატულება – გამ. 40:34-35; 3 მეფ. 8:1-11; რომ. 13:14, 12; 1 კორ. 3:16-17; ფილიპ. 1:19-21ა; გამოცხ. 21:3, 22, 10-11:

1. ქალაქის კედელი განკუთვნილია ღმერთის გამოხატულებისათვის, ამიტომ კედლის აშენება (ნეემ. 2:17) ნიშნავს ეკლესიის, როგორც ღმერთის გამოხატულების, აშენებას (მათე 16:18; ეფეს. 2:20-22; 4:11-16; 1 კორ. 3:9-17; გამოცხ. 4:3; 21:11, 18-19).
2. დღეს თავის აღდგენაში უფალი მუშაობს ნორმალური მდგომარეობის ხელახლა აღდგენისათვის, რათა ქრისტე იყოს სათანადო ეკლესიაში, როგორც თავის გამოხატულებაში – ეფეს. 3:16-21; გამოცხ. 4:3; 21:11, 18-19.
3. იმისათვის, რომ გამოვხატოთ ღმერთი, ჩვენ უნდა გადავრჩეთ ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებებისა და თვითმსგავსებისაგან, უნდა ვიცხოვროთ შერწყმული სიცოცხლით ღვთაებრივ სამებასთან, ქრისტეს მთელ სხეულთან შერევის სიცოცხლეში – რომ. 5:10; ლევ. 2:4-5; 1 კორ. 12:24-25.

4. იმისათვის, რომ გამოვხატოთ ღმერთი, ჩვენ ყოველდღიურად უნდა გავწმიდანდეთ და განვახლდეთ სიტყვაში წყლით განბანის მეშვეობით, რათა წარდგენილი ვიყოთ ქრისტესთვის, როგორც მისი სუფთა, დიდებული, ღმერთის გამომხატველი პატარძალი – მუხ. 24; ეფეს. 5:26-27.